

მევენახე-მეღვინე 010164
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მევენახე-მეღვინის პროფესიული კვალიფიკაცია მიეკუთვნება აგრარული მეცნიერებების მიმართულების სასურსათო ტექნოლოგიების დარგს. სპეციალობა მჭიდროდაა დაკავშირებული ვენახის გაშენებასა და მოვლასთან, რთველის ორგანიზებასთან, ყურძნის გადამუშავების ოპერაციებსა და ღვინის მოვლასთან. პროფესია ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და ალების საქმეში თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების, პრინციპებისა და პრაქტიკის გამოყენებაზე, რაც პირდაპირ უკავშირდება აგროკომპანიებისა და ფერმერული მეურნეობების წარმატებულ საქმიანობას.

სპეციალისტის სამუშაო დრო მეტ-ნაკლებად სტანდარტიზებულია, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. რთველის დროს) მუშაობა საჭიროა დამატებით სამუშაო საათებსა და გამოსასვლელ დღეებშიც. წარმოების უწყვეტი პროცესი (სეზონურად) მოითხოვს 24-საათიან სამუშაო რეჟიმს. სპეციალისტის მუშაობის ხარისხზეა დამოკიდებული მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოს გამართული მუშაობა, რაც უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, სამომხმარებლო ბაზრის კმაყოფილებას.

II. დასაქმების სფერო

მევენახე-მეღვინის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სახელწიფო თუ კერძო კომპანიაში, რომლის საქმიანობა მევენახეობასა და მეღვინეობას უკავშირდება.

III. პროფესიიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები:

პროგრამაზე სწავლის მსურველ პირს ასევე მოთხოვება:

- საველე პირობებში, მუდმივად ღია ცის ქვეშ, ცხელ ან ცივ გარემოში ხანგრძლივად მუშაობის შეძლების უნარი;
- ფიზიკური ჯანმრთელობა; მყარი ფსიქიკა, ფორსმაჟორსა და სტრესულ სიტუაციებში მუშაობისა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფეხზე დგომის, სიარულისადა, შესაბამისად, დიდი მანძილის დაფარვის, აგრეთვე, მუხლებზე დგომის, ხშირი დახრის, მონოტონური ოპერაციების შესრულების უნარები;
- განსხვავებული ტიპის სამუშაოებისადმი ადაპტაციის უნარი
- დეგუსტაციის მიზნით კარგი ყნოსვა, გემოს მგრძობელობა, კარგი მხედველობა;
- კარგი მეხსიერება, მათემატიკური და ლოგიკური ამოცანებისათვის თავის გართმევის უნარი;
- გამართული მეტყველება, კომუნიკაბელურობა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მევენახე-მელვინის პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანია და გულისხმობს მესამე საფეხურს. შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 87 კრედიტს. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მევენახე-მელვინის (ვენახისა და მარნის სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მევენახე-მელვინის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები; • პროფესიის მარეგულირებელი ნორმები (მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, ვაზისა და ღვინის შესახებ, გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის შესახებ);
-------------------------------------	---	--

		<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ეთიკისა და ზოგადი ბიზნეს ეთიკის მარეგულირებელი ნორმები; • შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები; • ინდივიდუალური დამცავი საშუალებები და მათი გამოყენების წესები; • სანიტარულ-ჰიგიენური წესები; • პირველი სამედიცინო დახმარების წესები; • სანიტარული ნორმების შესაბამისად და ეკოლოგიური უსაფრთხოების წესების დაცვით შესათეთრებელი, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების დამზადების წესი; • ტექნოლოგიური რუკებისა და ციკლების მნიშვნელობა და არსი; • პროდუქტის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები; • სურსათის უვნებლობის შესახებ საკანონმდებლო აქტები; • კრიტიკული წერტილების პრევენციის წესი; • სურსათის უვნებლობის შესახებ ჩანაწერების წარმოების წესი; • პროდუქციის წარმოების პროცესების თანმიმდევრობა; • წუნდებული პროდუქციის აღმოფხვრის წესები; • გუნდური მუშაობის ეფექტურობის მნიშვნელობა; • ცოდნის ამალგების მნიშვნელობა კარიერულ წინსვლაში; • პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეთოდები; • კომუნიკაბელურობის არსი და მნიშვნელობა; • ინფორმაციული წყაროების მოძიება, დამუშავება. • ვაზის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო გარემო ფაქტორები; • ვენახისათვის მიწის ნაკვეთის შერჩევისას გასათვალისწინებელი ფაქტორები; • ვაზის ჯიშების სამეურნეო კლასიფიკაცია; • ნიადაგის ტიპები და მათი სამეურნეო თვისებები; • ნიადაგში არსებული მაკრო და მიკრო ელემენტები; • ნიადაგის ნიმუშის ასაღები ხელსაწყო-იარაღები; • ნიადაგის ნიმუშის აღების წესი; • ადგილზე გადასატანად ვენახის გასაშენებელი პროექტის მოთხოვნები; • სავენახე ნაკვეთის მომზადები წესი; • ვენახის გასაშენებლად ნიადაგის გაწმენდა-მოსწორების წესი; • ნიადაგის განოყიერების მიზნით სასუქების შეტანის წესები, ვადები და დოზები; • ნიადაგის პლანტაჟის, გადახვნისა და დაფარცხვის დროს აგროტექნიკური ვადები და წესები; • ვაზის დასარგავად მომზადების წესი;
--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • ვაზის დარგვის დრო, დარგვისა და განოყიერების წესები; • მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების წესი რგვის დროს; • ვაზის გაშენებისას საყრდენების განთავსების წესები; • ვაზის ბიოლოგიის ზოგადი საფუძვლები; • ვაზის სხვლისა და ფორმირების საფუძვლები როგორც საძირეთა სადედე ნაკვეთში, ასევე კულტურული ვაზის ნარგაობათა ნაკვეთში; • განსხვავება საძირეთა სადედე ნაკვეთსა და კულტურული ვაზის ნარგაობას შორის; • საძირე მასალის აღების ვადები; • საძირე მასალის ტიპები (რა ტიპის ჰიბრიდია); • საძირისა და აჭრილი რქების ეტიკეტირების წესი; • მცნობის პროცესის არსი; • მცნობის საჭირო ხელსაწყოების გამოყენების წესი; • ნორმების დაცვით სამცნობი კომპონენტების მომზადების წესი; • მცნობის პროცესის წარმართვის მეთოდი; • ნერგისათვის ნიადაგის მომზადების წესი; • სანერგეში გადასატანად ნამყენის მოვლისა და მომზადების წესი; • სანერგეში მოვლითი სამუშაოების განხორციელების წესი; • ნერგის ამოღება-დახარისხება-შენახვის მიღებული სტანდარტი. • ნიადაგის დამუშავების ვადები და სისტემები აგროეკოლოგიური პირობების შესაბამისად; • ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დამუშავების წესი; • ხელით და შესაბამისი მანქანა-იარაღებით საჭირო სამუშაოების განხორციელების წესები; • ნიადაგის განოყიერების დროს გასათვალისწინებელი მოთხოვნები და აგროქიმიკატების დოზები; • ახალშენი ვენახის მოვლის თავისებურება გაშენების პირველ წელს, ჩასატარებელი სამუშაოების ჯერადობა და შესრულების ტექნიკა; • მორწყვის წესი და ვადები; • მწვანე ოპერაციების ჩატარების ტექნიკა; • სხვლა-ფორმირების წესი; • მეჩხერი ადგილების შევსების წესი; • საყრდენი სისტემების მოწყობის წესი; • ვაზის შპალერზე ან ინდივიდუალურ საყრდენზე აკვრის წესი; • ვაზის აღნაგობა; • ვაზის ვეგეტაციის პერიოდები;
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის დამუშავების წესები აგროეკოლოგიური პირობების შესაბამისად; • ნიადაგის დასამუშავებელი საშემოდგომო, საგაზაფხულო და სეზონური სამუშაოები და ამ სამუშაოების შესასრულებლად გამოსაყენებელი მანქანა-იარაღების დანიშნულება/მუშაობის პრინციპი; • ნიადაგში შესატანი არაორგანული და ორგანული სასუქების დოზები და შეტანის ვადები; • ჯიშების მიხედვით ვაზის სხვლის წესები; • ვაზის საყრდენების დანიშნულება; • ვაზისათვის მწვანე ოპერაციების მნიშვნელობა და თანმიმდევრობა (რქების მიმართულების მიცემა, ყლორტების დანორმება, ნამხარი, უნაყოფო და შტამპზე ამონაყარი ყლორტების შერჩევა) • აკვრის პროცესისა და „ცის გახსნის“ მნიშვნელობები და მათი განხორციელების ვადები; • ვენახის სარეველა ბალახები და მავნებლები, ვაზის დაავადებები; • შესაწამლი და შესასხურებელი პრეპარატების დანიშნულება, მათი დოზირებისა და მოქმედების არეალში; • ვაზის რწყვის პერიოდები, მორწყვის სისტემები, რწყვის საჭიროება და ნორმები; • ყურძნის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები; • რთვლის ვადის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები; • ყურძნის ნიმუშში შაქრიანობისა და ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრის მეთოდი; • ყურძნის საკრეფად საჭირო ტარა და მანქანა-იარაღები; • ტარის მომზადების წესები სანიტარული ნორმების დაცვით; • რთვლის სახეები; • ყურძნის კრეფის სხვადასხვა წესი - შერჩევითი, ჯიშებისა და მოხმარების პირობების მიხედვით; • სუფრის ყურძნის კრეფისა და მისი სარეალიზაციოდ მომზადების წესები; • მოკრეფილი ყურძნის სასაქონლო მომზადების პრინციპები; • ყურძნის გადაზიდვის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ნორმები და დროის ფაქტორის მნიშვნელობა; • ყურძნის ჯიშებისა და მათი დაზიანების ხარისხის გარჩევა; • სტრესფაქტორები და მათი საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და აღდგენითი ღონისძიებები; • ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის მოძიება მოკლე და გრძელვადიანი ამინდის პროგნოზის თაობაზე სეტყვის, ყინვის, მაღალი ტემპერატურისა და ვენახის დამაზიანებელი სხვა ფაქტორების შესახებ და ამ ინფორმაციის გადაცემა
--	--	--

		<p>ხელმძღვანელებისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრესული ფაქტორების შედეგად ვაზის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის წესი; • სტრესული ფაქტორების შედეგად დაზიანებულ ვენახის მოვლის მეთოდები; • მავნებელ-დაავადებათა ნიშნები; • მცენარეთა დაცვის საშუალებების კატალოგის გამოყენების წესი; • მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები; • მცენარეთა დაცვის შესაბამისი საშუალებების შერჩევა და მათი გამოყენების ვადები; • დაავადებებისა და მავნებელთა წინააღმდეგ გამოსაყენებელი სამუშაო ნაზავის შესაბამისი კონცენტრაცია; • მცენარეთა დაცვის საშუალებები; • მცენარის საკვები ელემენტები და მათი ნაკლებობის ნიშნები; • ვაზის დამატებითი გამოკვების აგროწესები; • ნიადაგის ტენიანობისა და ტენტევალობის განსაზღვრის წესი; • ნიადაგში ტენის შენარჩუნების ღონისძიებები; • სარწყავ-სადრენაჟო სისტემების მოვლისა და ექსპლუატაციის წესები; • სარწყავი წყლის საკვები სასუქებით გამდიდრების მეთოდები; • ბუნებრივი ნალექების რაოდენობის განსაზღვრის წესი; • მარტივი წვიმამზომის მოწყობის წესი; • წყალში გასახსნელი სასუქების რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის წესი; • ვეთოვნების შეკეთების წესი; • სატრანსპორტო საშუალებიდან ყურძნის გადმოსაზიდი ტარა-ჭურჭელი და მისი დასუფთავების წესი; • სასასწორე მეურნეობის, ყურძნის მიმღები განყოფილების, ყურძნის გადასარჩევი მაგიდისა და კლერტსაცლელ-საჭყლეტი დანადგარების მუშაობის პრინციპი და მათი სამუშაო რეჟიმში მოყვანის წესი; • საწარმოში არსებული ტარა-ჭურჭლის სარეცხ-სადეზინფექციო საშუალებების სახეები და მათი გამოყენების წესები; • ტკბილის ნიმუშის აღების წესი და ტკბილის შაქრიანობის განსაზღვრა; • საწარმოო პროცესში გამოყენებული მოწყობილობებისა და დანადგარების სადეზინფექციო ხსნარების მომზადებისა და რეცხვის წესები; • ალკოჰოლური დუდილის პრინციპები; • ალკოჰოლური დუდილის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები; • ალკოჰოლური დუდილის ტექნოლოგიური პროცესის მართვის მეთოდები; • ყურძნის გადამუშავების დროს გამოყენებული მანქანა-დანადგარების მართვის წესი კულტის გამოყენებით;
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • ყურძნის ტკბილის დაწმენდის მეთოდები; • ტკბილისა და დურდოს დამუშავების ტექნოლოგიური სქემა დამხმარე მასალების გამოყენებით (გოგირდის ანჰიდრიდით, პექტოლიტური და პროტეილიტური ფერმენტებით, ბენტონიტით, სიცივიტით); • მადულარა ტკბილისა და დურდოს ნიმუშის აღებისა და ფიზიკური პარამეტრების დადგენის წესი; • ვაშლ-რძემჟავა დუღილის პარამეტრების ფიზიკურ-ქიმიური კონტროლი და ტექნოლოგიური პროცესის მართვის მეთოდები; • ტუმბოს სხვადასხვა ტიპი და მათი მუშაობის პრინციპები; • ღვინის მოვლის თეორიული საფუძვლები, დავარგებისას მიმდინარე მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები; • გოგირდის ღვინომასალაში შეტანის წესი, ღვინის ძირითადი ქიმიური ანალიზების გაკეთება, ეგალიზაცია და კუპაჟი; • ტექნოლოგიური სქემების მიხედვით ღვინის დაწმენდისა და სტაბილიზაციისათვის საჭირო ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების წესი და დამხმარე მასალების გამოყენების დანიშნულება; • ღვინის ფილტრაციის მეთოდები და შესაბამისი საფილტრი დანადგარები; • ღვინის თბური დამუშავების მოსამზადებელი სამუშაოები; • ჩამოსასხმელი ხაზის მომზადების წესი; • მზა პროდუქციის სასაწყობე მეურნეობაში შენახვის პირობები. • საღვინე ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვისა და დეზინფექციის წესები; • სარეცხი და სადეზინფექციო პრეპარატები; • სადეზინფექციო ხსნარების მომზადებისა და გამოყენების წესები; • მაცივარ-დანადგარების მუშაობის პრინციპები; • ღვინის ჩამოსასხმელი დანადგარის სამუშაო რეჟიმში მოყვანის წესები. • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი პროფესიული ურთიერთობებისას.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის გამოყენება, შერჩევა და სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების მისადაგება</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა, დამხმარე მასალებთან მუშაობის წესებისა და საშუალებების გამოყენება; • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და აალებად პროდუქტებთან მუშაობის წესების დაცვა; • ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატების, სხვადასხვა დამცავი საშუალების გამოყენება;

		<ul style="list-style-type: none"> • დაზარალებულისთვის პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა; • მანქანა-დანადგარებისა და საღვინე ჭურჭელის რეცხვა სან-ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმების დაცვით; • საამქროების ჭერის, კედლების, იატაკის, საკანალიზაციო სისტემის, ასევე სამუშაო ინვენტარის დასუფთავება დადგენილი სან-ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმების დაცვით; • პესტიციდებისა და მავნებლებთან ბრძოლის სხვა საშუალებების გამოყენება პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვით; <p>ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული სასმელი წყლის ვიზუალური კონტროლი, ასევე საკანალიზაციო სისტემის კონტროლი.</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური რუკებისა და ციკლების წაკითხვა და გაანალიზება; • ტექნოლოგიური რუკებისა და ციკლების შესაბამისად სამუშაოების შესრულება; • სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობის გამოყენება; • კრიტიკული წერტილების პრევენცია; • სურსათის უვნებლობის შესახებ ჩანაწერების რეგულარულად წარმოება; • პროდუქციის წარმოების პროცესების თანმიმდევრობის დაცვა; <p>მიზეზების გამოვლენა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის წუნდება და ამ მიზეზების აღმოფხვრის წესების განხორციელება;</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციალურად აქტიური ცხოვრება; <p>მოძიებული ინფორმაციის გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> • საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად ვაზის გასაშენებლად საჭირო ფართობის შერჩევა (ნიადაგის ტიპის, ექსპოზიციისა და გრუნტის წყლების ფაქტორების გათვალისწინებით); • რეგიონისთვის „ვაზის და ღვინის კანონით“ რეკომენდებული სორტიმენტის შერჩევა; • ნიადაგის ნიმუშის აღება; • ნიადაგის ლაბორატორიული დასკვნის გაანალიზება; • ვენახის გასაშენებლად სავენახე ნაკვეთის მომზადება; • ნიადაგის გაწმენდა-მოსწორების წესის დაცვა; • ნიადაგის განოყიერების მიზნით სასუქების შეტანის წესების, ვადებისა და დოზების დაცვა; • ნიადაგის პლანტაჟის, გადახვნისა და დაფარცხვის დროს აგროტექნიკური
--	--	---

		<p>ვადებისა და წესების დაცვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • სარგავი მასალის ხარისხის შეფასება; • ვაზის განაშენიანების პროექტის ადგილზე გადასატანად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების (ჭიგოების, მოსანიშნი ჩხირების, პალოების, საგეგმავი მავთულის, ნერგის მომზადება) ჩატარება; • დარგვის ოპტიმალური დროის განსაზღვრა ნიადაგის ტენიანობის მიხედვით; • ვაზის დარგვა სხვადასხვა მეთოდით (ორმოში რგვა, ჰიდრობურღით რგვა); • ნერგის დახარისხება; • რგვის დროს სხვადასხვა მავნებელთან ბრძოლის საშუალებების გამოყენება; <p>ვაზის საყრდენების სწორად შერჩევა და დადგენილი წესით განთავსება.</p> <ul style="list-style-type: none"> • მცნობისთვის საძირე მასალისა და რქების დამოუკიდებლად შერჩევა/აღება ტიპების, დიამეტრის, კონდიციურობისა და წელიწადის დროის მიხედვით; • ალებული საძირისა და რქის ეტიკეტირება; • ეტიკეტზე საძირე მასალის ალების თარიღის მითითება; • კონებად შეკრული და ეტიკეტირებული რქების მოთავსება პოლიეთილენის ტომარაში და სამაცივრო განყოფილებაში გადატანა; • სამაცივრო განყოფილებაში ტემპერატურის რეგულირება და შენახვის წესების დაცვა; • მცნობის სწორად წარმართვა; • სადეზინფექციო საშუალებების სწორად გამოყენება; • საძირის დაღობვის ოპერაციების სწორად წარმართვა; • ნამყენის დაპარაფინების, სტრატეფიცირებისა და შენახვის სწორად განხორციელება; • ნამყენის გაკაჭების სწორად განხორციელება; • ნამყენის დარგვა შესაბამისი წესების დაცვით; • ნერგის ამოღება-დახარისხება-შენახვა მიღებული სტანდარტის შესაბამისად. • ნიადაგის კულტივაციის ჩატარება, მწკრივთაშორისების გაფხვიერება, პირველ წელს კოკოლების გაფხვიერება; • მავნებლებთან, სარეველებთან და ვაზის დავადებებთან ბრძოლის საშუალებების სწორად გამოყენება; • ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დამუშავების დროს შესაბამისი პარამეტრების დაცვა; • ხელით და შესაბამისი მანქანა-იარაღებით საჭირო სამუშაოების განხორციელება; • ორგანულ-მინერალური სასუქებით ნიადაგის განოყიერება ნიადაგის ანალიზით, დადგენილი მოთხოვნილების მიხედვითა და აგროქიმიკატების დოზების დაცვით;
--	--	---

- მორწყვის სხვადასხვა სისტემის გამოყენება;
- მწვანე ოპერაციების ჩატარება;
- ვაზის გასხვლა-ფორმირება;

საყრდენი სისტემების მოწყობა ინდივიდუალური საყრდენის გამოყენებითა და შპალერული მეთოდით.

- ვაზის ვეგეტაციის პერიოდების დადგენა ვიზუალურად;
- ნიადაგისათვის საჭირო საშემოდგომო, საგაზაფხულო და სეზონური სამუშაოების შესრულება;
- ნიადაგის დამუშავება ხელით;
- ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დამუშავების დროს დამუშავების წესებისა და ვადების დაცვა;
- ნიადაგში შესატანი სასუქების მომზადება და ხელით შეტანა;
- ორგანულ-მინერალური სასუქებით ნიადაგის განოციერება ნიადაგის ანალიზით, დადგენილი მოთხოვნილებების მიხედვითა და აგროქიმიკატების დოზების დაცვით;
- შპალერზე მავთულის გაჭიმვა და სხვადასხვა ფორმის ღუზის გაკეთება;
- ვაზის სხვლა ჯიშების მიხედვით;
- ვაზის რქის მიმართულების მიცემა და დამაგრება;
- ყლორტების დანორმება, ზედმეტი ყლორტების შერჩევა და შეცლა;
- ვაზისათვის თავის გადაჭრა ვადებისა და ზომების მიხედვით;
- ვაზის სარეველა ბალახების, ვაზის მავნებლებისა და ვაზის დაავადებების სახეობების დადგენა;
- ვაზის შესაწამლი და შესასხურებელი პრეპარატების სამუშაო ხსნარის მომზადება და ამ ხსნარით მუშაობა;

ვენახის რწყვის საჭიროების დადგენა და ნორმების მიხედვით ვენახის მორწყვა.

- რთვლის ვადის განსაზღვრა ყურძნის სასაქონლო დანიშნულების მიხედვით;
- ყურძნის საანალიზო ნიმუშის აღება, შაქრიანობისა და ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრა;
- ყურძნის საკრეფად საჭირო ტარისა და მანქანა-იარაღების მომზადება დადგენილი წესის მიხედვით;
- რთვლის შერჩევითი ჩატარება და ყურძნის კრეფა გუნდში;
- სუფრის ჯიშის ყურძნის გარჩევა, კრეფა, დაფასოება და სარეალიზაციოდ მომზადება/ შენახვა;
- მონაწილეობის მიღება ყურძნის გადაზიდვის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და სანიტარულ-ჰიგიენურ კონტროლში;
- მოკრეფილი ყურძნის აწონვა, სასაქონლო სახის მიცემა და მისი ტრანსპორტირების

		<p>უზრუნველყოფა გადამუშავების ობიექტამდე; ყურძნის ჯიშებისა და მათი დაზიანების ხარისხის იდენტიფიკაცია და დახარისხება.</p> <ul style="list-style-type: none"> • მაღალი ტემპერატურის, გვალვის, ყინვის, სხვადასხვა სტიქიის შესაბამისი პროფილაქტიკური და დამცავი საშუალებების გამოყენება; • სტრესული ფაქტორების შედეგად დაზიანებული ვენახის მოვლა: შეწამვლა, სხვლა, სარემონტო სამუშაოები; • ყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება: ვაზის მიმარხვა, მორწყვა, კვამლის ფარდის მოწყობა; • გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება: მორწყვა, კულტივაცია, მულჩსაფარის მოწყობა; • წაყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება: საფენებით გატობა, დაწვიმება, ზედაპირული მორწყვა, გვიანი გასხვლა; • წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობა: ქარსაცავი ზოლების, ნაპირსამაგრი ჯგბირების მოწყობა და სარწყავი არხების გაწმენდა; <p>ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობა: მიწაყრილების მოწყობა, ნიადაგის დაკორდება და სპეციალური ბალახების დათესვა.</p> <ul style="list-style-type: none"> • მავნებელ-დაავადებათა სიმპტომების დიაგნოსტიკა; • ვაზის დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება; • მცენარეთა დაცვის შესაბამისი საშუალებების შერჩევა და მათი გამოყენების ვადების განსაზღვრა; • დაავადებებისა და მავნებელთა წინააღმდეგ გამოსაყენებელი სამუშაო ნაზავის შესაბამისი კონცენტრაციით მომზადება; • მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოსაყენებელი ტექნიკის მობილიზება, სამუშაო პარამეტრების დაცვა; • მცენარეთა დაცვის საშუალებების კატალოგის (სიის) გამოყენება; <p>ვაზის დამატებითი გამოკვების აგროწესების დაცვა.</p> <ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის ტენიანობისა და ტენტევადობის განსაზღვრა; • სარწყავი წყლის ტემპერატურის შერჩევა; • მექანიზებული სარწყავი სისტემების მოდერნიზება; • ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერება მორწყვის შემდეგ; • რწყვის შემდეგ მწვანე მასის რაოდენობის რეგულირება; • დაწვიმების სისტემების მუშაობის რეჟიმის რეგულირება;
--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • მორწყვის დროისა და სხვადასხვა კულტურისთვის საჭირო წყლის რაოდენობის განსაზღვრა; • მარტივი სადრენაჟო არხების გაყვანა; <p>მორწყვისთვის საჭირო ტექნიკის მოძიება და გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> • ყურძნის შემოტანა საწარმოში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვით; • ყურძნის გადარჩევა/დახარისხება, აწონვა, გადმოტვირთვა, კლერტგამცლელ-დამჭყლეტი მანქანის სამუშაო რეჟიმში მოყვანა; • ტარა-ჭურჭლის სარეცხ-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების წესების დაცვით; <p>ყურძნის ნიმუშის აღება და ტკბილის შაქრიანობის განსაზღვრა.</p> <ul style="list-style-type: none"> • საწარმოში მოწყობილობებისა და დანადგარების სადეზინფექციო ხსნარებით რეცხვა; • ყურძნის გადამამუშავებელი დანადგარების მართვა პულტის გამოყენებით; • ტკბილის დაწმენდის პროცესის ხელშეწყობა სხვადასხვა დამხმარე მასალის გამოყენებით; • ალკოჰოლური დუდილის კონტროლი; • ღვინის ჭაჭიდან მოხსნა და დაბინავება; • ახალგაზრდა ღვინის ლექიდან მოხსნა და შევსება; • ჭაჭის დაბინავება, საფუვრიანი ლექის გადამამუშავებაში მონაწილეობის მიღება; • ღვინის, დურდოს ან ლექის გადასატანი ხაზის აწყობა; <p>სითხის გადატანის ოპერაციის შესრულება და ხაზის გაცლა წყლის გატარების გზით.</p> <ul style="list-style-type: none"> • გოგირდის გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად, ღვინის ძირითადი ქიმიური ანალიზების ჩატარება და ეგალიზაციაში მონაწილეობის მიღება; • ტექნოლოგიური სქემების მიხედვით სხვადასხვა ოპერაციის შესრულება და დამხმარე მასალების გამოყენება; <p>ღვინის ფილტრაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> • ღვინის თბური დამამუშავებისათვის წინასწარი სამუშაოების ჩატარება და თბურ დამამუშავებაში მონაწილეობის მიღება; • ჩამოსახმელი ხაზის სამუშაო რეჟიმში მოყვანა; • მზა პროდუქციის შენახვა სასაწყობე მეურნეობაში და შენახვის პირობების უზრუნველყოფა; <p>ლექის გადამამუშავებაში მონაწილეობის მიღება.</p>
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • ღვინის ჩამოსასხმელი დანადგარის/ხაზის მომზადება და სამუშაო რეჟიმში მოყვანა; • სადებიზინფექციო ხსნარების მომზადება სან-ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმების დაცვით და მათი გამოყენებით დანადგარების რეცხვა-დამუშავება; • მაცივარ-დანადგარის მუშაობის მართვა; • საღვინე ჭურჭლის ზედაპირისა და არმატურების შეკეთება. • ხელითა და შესაბამისი მანქანა-იარაღებით საჭირო სამუშაოების წარმოება; • მარტივი ხარჯთაღრიცხვის წარმოება; • სამეურნეო ჩანაწერების გაკეთება; • სამუშაო დღის, თვის ან წლის გეგმისა და ანგარიშის დამოუკიდებლად შედგენა. • დოკუმენტის ამობეჭდვა და დასკანერება; • პროდუქციის რაოდენობის აღრიცხვა; • შრომის ორგანიზება გუნდური პრინციპით;
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კრიტიკულ და ფორსმაჟორულ სიტუაციაში, კომპეტენციის ფარგლებში, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორებიცაა: ხელსაწყო-იარაღების დაზიანების აღმოფხვრა, სარწყავი სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მისი შეკეთება, ან ალტერნატიული გზების მოძიება, უამინდობისას (გვალვის ან სეტყვის შემთხვევაში) დაგეგმილი სამუშაოების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და შესაბამისად მოქმედება; • სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის განსაზღვრა;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიების გაუმჯობესების ხერხების, მეთოდებისა და საშუალებების მოძიება; • სპეციალურ სახელმძღვანელოებში, წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში ან ინტერნეტში სფეროში არსებული სიახლეების, ქვეყნის და საერთაშორისო ბაზრებზე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა; • შხამქიმიკატებზე, ჰერბიციდულ საშუალებებზე ეტიკეტებისა და მოხმარების ინსტრუქციების კითხვა და გაგება; • სასოფლო-სამეურნეო მანქანების ინსტრუქციებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და გაგება; • ცხრილის სახით წარმოდგენილი ინფორმაციის კითხვა; • დამქირავებელთან, დაქირავებულებთან, კოლეგებთან ფუნქციების განაწილების

		<p>თაობაზე, ინფორმაციის გაცვლის, ტექნიკური ან სხვა საჭირობოროტო საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით კომუნიკაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> • უცხო ენის გამოყენება; • წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას საკომუნიკაციო საშუალებების (რაცია, ტელეფონი, სხვადასხვა სახის ელექტრონული მოწყობილობა) გამოყენება; • ოპერაციულ სისტემასთან და აპლიკაციებთან მუშაობა; • ბრაუზერების საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოძიება და შენახვა; • პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი კომუნიკაცია (E Mail, Skype) თანამშრომლებთან; • E-Mail-ითა და Skype-ით ინფორმაციის გაცვლა ხელმძღვანელობასთან; • ინფორმაციის მოსმენა და მიწოდება; • ელექტრონულად შემდეგი ქმედებების განხორციელება: შესრულებული სამუშაოს წარდგენა - ანგარიშის შედგენა.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიის შესასწავლად გათვალისწინებული პროგრამის ათვისება და ნასწავლი მასალის გადმოცემა; • სათანადო ლიტერატურაში ან კოლეგების გამოკითხვით ინფორმაციის მოძიება მცენარეთა დაავადებებსა და მათთან ბრძოლის საკითხებზე; • გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კატალოგებიდან, ინტერნეტიდან, სპეციალური ჟურნალ-გაზეთებიდან და ტელე-რადიო გადაცემებიდან ექსპერტების რჩევებისა და სფეროს სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოძიება; • ვაზის ჯიშების შესახებ სიახლეების მოძიება; • მექანიზაციის საშუალებების შესახებ ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება; • ცოდნის ამალღების შესაძლებლობების გამოყენება; • პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეთოდების გამოყენება;
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიული მოვალეობები, არის • ორგანიზებული, დისციპლინირებული და პუნქტუალური; • იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; • მუდმივად იმაღლებს ცოდნას;

		<ul style="list-style-type: none">• ხვეწს პროფესიულ უნარ-ჩვევებს;• ამაღლებს კომუნიკაბელორობის უნარს;• ეუფლება მოწინავე ტექნოლოგიებს;• პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს;• იზიარებს რჩევებსა და გამოცდილებებს;• ადეკვატურად, თანამიმდევრულად და მაღალი პასუხისმგებლობით მოქმედებს სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციის შესრულების დროს;• იცავს გარემოს;
--	--	--